



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 ნოემბერი 2023



N 643/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთში (შ-204) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (კმ 216 – ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძი) – ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის 38-ე კმ-ზე, სახიდე გადასასვლელთან მდ. გუბისწყალის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთში (შ-204) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (კმ 216 – (ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძი) – ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის 38-ე კმ-ზე, სახიდე გადასასვლელთან მდ. გუბისწყალის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ იანეთში მდ. გუბისწყალის მარჯვენა ნაპირზე. მდინარის კალაპოტში, რამდენიმე ადგილას წარმოქმნილია ჭარბი აკუმულაციური დანაგროვები. კალაპოტის ცოცხალი კვეთის შემცირების გამო, წყალდიდობების და წყალმოვარდნების პერიოდში განვითარებულია გვერდითი ეროზიული პროცესი, რაც საფრთხეს უქმნის (შ-204) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (კმ 216 – ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძი) – ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის 38-ე კმ-ზე არსებულ სახიდე გადასასვლელს. ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია მდ. გუბისწყალის მარჯვენა ეროზირებადი ნაპირის და ხიდის სანაპირო ბურჯის დაცვა. გამორეცხილი მიწის ვაკისის და ნაპირის გამაგრება მოხდება გაბიონის კედლით. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-287749, Y-4672489; X-287518, Y-4672242. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 630 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მდ. გუბისწყალის მარჯვენა ეროზირებადი ნაპირის, ასევე, ხიდის სანაპირო ბურჯის დასაცავად და გამორეცხილი მიწის ვაკისის გამაგრებისთვის მდ. გუბისწყალის მარჯვენა ნაპირზე მოეწყობა 160 მეტრი სიგრძის მქონე გაბიონის კედელი, ხოლო გაბიონის კედლის უკან (პკ 2+80), ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი წყლის გატარების მიზნით განთავსდება რკინა-ბეტონის მილი (დიამეტრი 1 მ). საპროექტო უბანზე ასევე მოეწყობა ქვიშა-ხრეშოვანი საგები (სიმაღლე 10 სმ) და მონოლითური საძირკველი (სიმაღლე 20 სმ) და დამონტაჟდება რკინა-ბეტონის ანაკრები რგოლები. აღნიშნულის შემდგომ, განლაგდება გაბიონის ლეიბები ზომით 6.0x2.0x0.3 მეტრი და 2.0x2.0x0.3 მეტრი. გაბიონის ლეიბებზე განთავსდება გაბიონის ყუთები, რომლის ზომები იქნება 1.5x1.0x1.0 მეტრი და 2.0x1.0x1.0 მეტრი. გაბიონის ყუთები და ლეიბი მოქსოვილი იქნება მავთულით (დიამეტრით 2.7 მმ). გაბიონის ყუთების შევსება მოხდება ქვებით (ჯამური მოცულობა 779 მ³). ნაპირდაცვითი სამუშაოებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მდ. გუბისწყალის კალაპოტში რამდენიმე ადგილას წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაციური დანაგროვები, ხოლო ბეტონი სამშენებლო მოედანზე შეტანილი იქნება მზა სახით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდამცავი ნაგებობები გაანგარიშებულია მდ. გუბისწყალის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. გუბისწყალის სიგრძე შეადგენს 36 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 388 კმ². დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 597 მ³/წმ-ს. მდ. გუბისწყალის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 2.65 მეტრის ტოლია, ხოლო ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 4.24 მეტრს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ოთხი ავტოთვითმცლელი, ერთი ბულდოზერი, ორი ექსკავატორი და ერთი ამწე. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირსამაგრი სამუშაოების დაწყებამდე, წყლის რეგულირების მიზნით, მოხდება კალაპოტის გაჭრა, გრუნტის დამუშავება ექსკავატორით და დამუშავებული გრუნტის გადატანა დროებითი დამბის (სიგრძე 220 მეტრი) მოსაწყობად, რის შემდეგაც განხორციელდება გაბიონის ყუთების დალაგება და ქვებით შევსება. ბოლო ეტაპზე მოხდება დროებითი დამბის დაშლა, ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება ტექნიკა/სატრანსპორტო საშუალებები. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 3 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება 10 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. აღსანიშნავია, რომ ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ძლიერი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. დოკუმენტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. გუბისწყალისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. გუბისწყალის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. მდ. გუბისწყალის მარჯვენა ნაპირი მთლიანად აგებულია შუა იურული ბათური ასაკის ფურცელა ფიქლებით, რომლებიც იკვეთებიან ზედაპირზე ამოსული ტემენიტების ინტრუზიული სხეულებით. საკვლევ უბანზე გამოიყოფა გრუნტების შემდეგი სახესხვაობა: სგე-1 და სგე-2. სგე-1 წარმოდგენილია თიხნარით – მოყავისფრო, ძნელპლასტიკური, თიხაქვიშის თხელი ლინზებით და შუაშრეებით. თიხაქვიშაში გვხვდება ნიჟარები, ორგანული ნარჩენები და კენჭნარის (20%) ჩანარები. სგე-2 წარმოდგენილია კენჭნაროვანი გრუნტით – ხრემის და კაჭარის 15-20%-მდე ჩანარებით, თიხაქვიშის შემავსებლით 20%-მდე, კარბონატული, მსხვილმარცვლოვანი მკვრივი ქვიშის და თიხაქვიშის 0.2-0.7 მ სიმძლავრის ლინზებით და შუაშრეებით. დოკუმენტის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია განთავსებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის ზონაში, სადაც მცენარეული საფარი ხელოვნურადაა გაშენებული. უშუალოდ საპროექტო უბანზე მცენარეული საფარის სიმცირე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენს მდინარის სანაპირო ზოლს. ამასთან, მიმდებარე ჭალა მუშავდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. აღსანიშნავია, რომ ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმჭირის გამო, საპროექტო არეალი ძალზედ ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ. აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაეგზავნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მახასიათებლებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. მდ. გუბისწყალის ნაპირსამაგრი სამუშაოები გარემოსდაცვითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთში (შ-204) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (კმ 216 ნახშირდღეს სატრანსპორტო კვანძი) – ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის 38-ე კმ-ზე, სახიდე გადასასვლელთან მდ. გუბისწყალის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

